

სიძულვილის ენა



სიძულებითი ენა



ავტორი:

თამარ კინწურაშვილი

მკვლევარი:

თინა გოგოლაძე

მონაცემთა დამუშავება:

მარიამ ცუცქერიძე

მედია მონიტორინგი:

თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხათია ლომიძე,
რომა ბაინდურაშვილი, მარიამ გელაშვილი

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDESIGN

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

© 2018, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

მედიის განვითარების ფონდი (MDF) საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მონაწილეობს პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ განხორციელებაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მედია მონიტორინგი, რომლის მიზანია მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმებისა და მათი წყაროების გამოვლენა.

წინამდებარე კვლევა მედიის განვითარების ფონდის (MDF) ერთწლიანი მედია მონიტორინგის შედეგების ანალიზს წარმოადგენს და 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები, მეთოდოლოგია, სიძულვილის ენის რეგულაციების და თვითრეგულირების პრაქტიკის მიმოხილვა; მეორე ნაწილში მოცემულია ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები სიძულვილის ენის ტიპოლოგიის მიხედვით. ანგარიშის მესამე ნაწილში სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით არის წარმოდგენილი, ბოლო ნაწილი კი წყაროების პროფილებს ეთმობა.

| პათოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია. მონიტორინგი 17 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა. ტელევიზიების შემთხვევაში პროგრამული ბადის ცვლილებების გამო ზოგიერთი გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა, ახალი ანალოგიური ფორმატის გადაცემებით ჩანაცვლდა. მონიტორინგი შემდეგ სუბიექტებზე განხორციელდა:

- **4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკური გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მომბე, მთავარი¹), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი, (ქრონიკა, იმედის კვირა), მეესტრო (მთავარი თემა).
- **5 ტელევიზიის თოქ-შოუ:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ)², რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (ამომრჩევლის პირისპირ,³ პირისპირ⁴), ობიექტივი (ლამის სტუდია; ოქროს კვეთა⁵), კავკასია (ბარიერი, სპექტრი).
- **7 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა, მარშალბრესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს ასახავს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს დისკრიმინაციული კომენტარების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

¹ გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2017 წლის თებერვალში დაიხურა.

² 10 ნოემბრიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი თოქ-შოუ – „კვირის ინტერვიუ“

³ 5 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა იმედის წინასაარჩევნო გადაცემა „ამომრჩევლის პირისპირ“

⁴ 31 ოქტომბრიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა იმედის თოქ-შოუ „პირისპირ“

⁵ 1 აპრილიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა ობიექტივის თოქ-შოუ „ოქროს კვეთა“.

მთავარი მიგნებები	7
1. სიძულვილის ენის რეგულაციები და თვითრეგულირების პრაქტიკა	9
2. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები	11
2.1. ქსენოფობია	13
2.2. ჰომოფობია	16
2.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	17
2.4. სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით	17
2.5. რასიზმი	18
2.6. გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაცია	18
3. სიძულვილის ენა წყაროების და ტიპოლოგიის მიხედვით	18
3.1. მედია	19
3.2. პარტიები	26
3.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები	31
3.4. სასულიერო პირები	34
3.5. საზოგადოება	36
4. პროფილები	39
4.1. მედია	39
4.2. პარტიები	40
4.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები	43

| დიაგნოზი

დიაგრამა 1.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია	11
დიაგრამა 2.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია 2016-2017 წლებში	12
დიაგრამა 3.	ქსენოფობიის ტიპოლოგია	13
დიაგრამა 4.	ქსენოფობიის გზავნილები	14
დიაგრამა 5.	თურქოფობიული გზავნილები	15
დიაგრამა 6.	ჰომოფობიური გზავნილები	16
დიაგრამა 7.	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ტიპოლოგია	17
დიაგრამა 8.	სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით	18
დიაგრამა 9.	სიძულვილის ენის წყაროები	19
დიაგრამა 10.	სიძულვილის ენის მედია წყაროები (6 გამოცემა)	20
დიაგრამა 11.	სიძულვილის ენა მედიების და მათი რესპონდენტების მიხედვით	21
დიაგრამა 12.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	21
დიაგრამა 13.	სიძულვილის ენის წყაროები პარტიების მიხედვით (10 პარტია)	26
დიაგრამა 14.	სიძულვილის ენის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით	27
დიაგრამა 15.	სიძულვილის ენის წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით (5 ორგანიზაცია)	32

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- მონიტორინგის პერიოდში (2017 წლის 1 იანვარი – 31 დეკემბერი) სულ 1926 დისკრიმინაციული შინაარსის კომენტარი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე დიდი წილი ქსენოფობიაზე (49,1%) მოდის, შემდეგ ადგილზეა ჰომოფობია (38%), შედარებით ნაკლებად რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (7,3%), სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით (4,5%), რასიზმი (1%) და 1 შემთხვევაში (0,1%) გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაცია.
- 2016 წელთან შედარებით თითქმის ყველა ტიპის დისკრიმინაცია გაზრდილია, თუმცა ყველაზე მკვეთრი ზრდა ქსენოფობიის მხრივ შეინიშნება, რაც ძირითადად ანტიმიგრანტული (275) განწყობების მოჭარბებით არის განპირობებული. მიგრანტების წინააღმდეგ შეფასებებს ჩვენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ნაწილში, ისლამოფობიის სახითაც (35) ვხვდებით, რაც ჯამურად მიგრანტების წინააღმდეგ გაკეთებულ 310 კომენტარს შეადგენს და 2017 წელს ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებით და მიგრანტების საწინააღმდეგო კამპანიით უნდა იყოს განპირობებული.
- გასულ წელთან შედარებით გაზრდილია თურქოფობიული (2017 – 274; 2016 – 148) და არმენოფობიული (2017 – 58; 2016 – 26) კომენტარებიც.
- თურქოფობიის შემთხვევაში დომინირებდა აზრი, რომ თურქეთი საქართველოს ექსპანსიას ახორციელებს (121) და რომ ის არა სტრატეგიული პარტნიორი, არამედ ისტორიული მტერია (46). ამასთანავე ცალკეული რესპონდენტები ამკვიდრებდნენ აზრს, რომ რუსეთის მსგავსად თურქეთიც ოკუპანტად (29) უნდა მივიჩნიოთ, რა დროსაც აქცენტის გადატანა რუსეთის თანამედროვე ოკუპაციიდან ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ოკუპაციაზე ხდებოდა, რაც, თავის მხრივ, ისტორიული ტრავმის გაღვივებას ისახავდა მიზნად.
- ხდებოდა ერთმორწმუნე რუსეთის მუსულმანური თურქეთის საპირწონედ და საქართველოს უსაფრთხოების გარანტად წარმოჩენა (17). ამ კონტექსტში გარკვეულ შემთხვევებში ყარსის ხელშეკრულების შესახებ კონსპირაციის განვითარებაც ხდებოდა (8).
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის 140 შემთხვევიდან თითქმის 65% ისლამოფობიაზე მოდის (90). შემდეგ ადგილზე არიან იეჰოვას მოწმეები (29 კომენტარი) და შედარებით ნაკლებად სხვადასხვა კონფესიები. მონიტორინგის პერიოდში 1 ანტისემიტური კომენტარიც გამოვლინდა.

- 20 რასისტული კომენტარიდან ყველაზე მეტი (9) მედიაზე მოდის.
- 2017 წელს გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაციის ერთი შემთხვევა გამოვლინდა.
- მედიის (573) და საზოგადოების წარმომადგენლების (559) მხრიდან გაკეთებული სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები ყველაზე მაღალია და ისინი თითქმის თანაბარი შეუწყნარებლობით გამოირჩევიან, რასაც მცირედით ჩამორჩება პოლიტიკური კლასი (472). სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაჩვენებელი შედარებით დაბალია (279), რაც უფრო მეინსტრიმულ მედიაზე მათი შედარებით დაბალი წვდომით უნდა იყოს განპირობებული. ყველაზე მცირედ მონიტორინგის სუბიექტ მედიაში სასულიერო პირების სიძულვილის ენაა წარმოდგენილი (44).
- გამოიკვეთა 6 მედია საშუალება, რომელიც ყველაზე ხშირად გამოხატავდა სიძულვილის ენას სხვადასხვა ჯგუფების მიმართ: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კრემლისტურ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ (198) აქვს, რომელსაც მოსდევს ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (141); პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული ტვ „ობიექტივი“ (74), რომელიც როგორც ეთნონაციონალისტურ, ასევე კრემლისტურ სარედაქციო პოლიტიკას გამოხატავს; კრემლისტური სააგენტო „საქინფორმი“ (66), ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი „ალია“ (46) და სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე ონლაინ სააგენტო „მარშალპრესი“ (16).
- გამოვლინდა 10 პარტია, რომელიც ყველაზე ხშირად აღვივებდა სიძულვილის ენას. ესენია: პრორუსული პარტიები – „პატრიოტთა ალიანსი“ (132), გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა (57), თავისუფალი საქართველო (26), ქართული დასი (20), თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის (19), „მემარცხენე ალიანსი“ (11); ეთნონაციონალისტური გაერთიანებები – „ეროვნულები“ (73), „ჩვენი სამშობლო“ (18) და „ქართული იდეა“ (17). ათეულში ასევე წარმოდგენილია მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ (45).
- გამოიკვეთა 5 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებს მონიტორინგის სუბიექტ მედია საშუალებებში ყველაზე ხშირად ვხვდებით. ეს ორგანიზაციაა: ეთნონაციონალისტური „ქართული მარში“ (111) და „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ (18), პრორუსული – „სახალხო კრება“ (28), „უფლებადამცველთა გაერთიანება“ (24), კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი (14).
- საზოგადოების მხრიდან, რომელიც იმავე გზავნილებს გამოხატავდა, რომელთა ტირაჟირებას მედია და პოლიტიკური კლასი ახდენდა, ყველაზე მეტი ქსენოფობიური კომენტარი გაკეთდა. ყველაზე მეტი სიძულვილის ენის შემცველი კომენტარი კი ტვ „ობიექტივის“ მაყურებელმა (45) სატელეფონო ჩართვის ფორმატში გააკეთა.

1. სიძულვილის ენის რეზოლუციები და თვითრეზოლუციების პრაქტიკა

რეზოლუცია. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის თანახმად, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტობას ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, იმ შემთხვევების გარდა, როცა ის მყისიერ, გარდაუვალ და აშკარა ძალადობის საფრთხეს ქმნის. სიძულვილის ენაზე პროგრამული შეზღუდვები მხოლოდ მაუწყებლების შემთხვევაში არის დადგენილი: მაუწყებლობის შესახებ კანონის 56.3 მუხლის თანახმად:

„იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას“.

სიძულვილის ენის შემზღუდავი სტანდარტები მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიითაც არის დადგენილი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე, ნორმატიული აქტის სახით არის მიღებული. კოდექსის საფუძველზე, 2009 წლიდან მაუწყებლებში შექმნილია თვითრეგულირების ორგანოები (კომისია და სააპელაციო ინსტანცია), რომელიც კოდექსის დებულებათა დარღვევის შემთხვევებს განიხილავს. როგორც ევროსაბჭოს ანგარიშშია აღნიშნული, სიძულვილის ენასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე თვითრეგულირების მექანიზმი ყოველთვის ეფექტიანად არ მუშაობს, რადგან ამ ტიპის საქმეებში მაუწყებლები არაერთგვაროვნად განმარტავენ დაინტერესებული პირის ცნებას და უარს ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების და პირთა ფართო ჯგუფის მიერ ინიცირებული საჩივრების განხილვაზე.

თვითრეგულირების პრაქტიკა


2017 წელს მედიის განვითარების ფონდმა და სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრმა ორგანიზაციებმა თვითრეგულირების ორგანოებში 3 საჩივრის ინიცირება მოახდინეს, რომელთაგან 2 ქსენოფობიას, ხოლო 1 ჰომოფობიას შეეხებოდა.

ტიპოლოგია	ბედია საშუალება	სადავო მასალა	გადაწყვეტილება
ქსენოფობია	საინფორმაციო სააგენტო PIA	„საქართველოს ირანიზაცია ემუქრება? – საგანგაშო სტატისტიკა“	ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაადგინა, რომ PIA-მ დაარღვია პირველი (სიზუსტე) და მე-7 (დისკრიმინაცია) პრინციპები
ქსენოფობია	გაზეთი „რეზონანსი“	„ქართულ მიწებს არაბები, ინდოელები ირანელები და თურქები ინაწილებენ“	ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაადგინა, რომ „რეზონანსმა“ დაარღვია პირველი (სიზუსტე), მე-3 (წყაროების სიზუსტე) და მე-7 (დისკრიმინაცია) პრინციპები
ჰომოფობია	ტელეკომპანია „მაესტრო“	საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები მაესტროზე“ წამყვანის ჰომოფობიური კომენტარი	მაესტროს თვითრეგულირების ორგანომ და კომუნიკაციის მარეგულირებელმა კომისიამ მომჩივანი მხარეები დაინტერესებულ პირებად არ მიიჩნიეს და შესაბამისად, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევა არ განიხილეს.

2. ენთიანი რაოდენობიანი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (2017 წლის 1 იანვარი – 31 დეკემბერი) სულ 1926 დისკრიმინაციული შინაარსის კომენტარი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე დიდი წილი ქსენოფობიაზე (49,1%) მოდის. შემდეგ ადგილზეა ჰომოფობია (38%), რომელსაც მოსდევს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (7,3%), სიძულვილის ენა სხვადასხვა მოტივით (4,5%), რასიზმი (1%) და 1 შემთხვევაში (0,1%) – გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაცია.


ღიაგრავა 1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია



	ქსენოფობია	ჰომოფობია	რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	სიძულვილის ენა სხვა ნიშნით	რასიზმი	გაომრავლებელი ნიშნით დისკრიმინაცია
მედია	246	255	52	10	9	1
პოლიტიკოსები	268	153	21	24	5	
საზოგადოება	303	172	38	42	4	
საზოგადოებრივი ორგანიზაციები	122	127	18	10	2	
სასულიერო პირები	9	24	11			
	948	731	140	86	20	1

როგორც დიაგრამა 2-ზე ჩანს, წინა წელთან შედარებით თითქმის ყველა ტიპის დისკრიმინაცია გაზრდილია, თუმცა ყველაზე მკვეთრი ზრდა ქსენოფობიის და ჰომოფობიის მხრივ შეინიშნება. ქსენოფობიური კომენტარების ზრდა ძირითადად ანტიმიგრანტული (275) განწყობების ზრდით არის განპირობებული. მიგრანტების წინააღმდეგ შეფასებებს ჩვენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ნაწილში, ისლამოფობიის სახითაც (35) ვხვდებით, რაც ჯამურად მიგრანტების წინააღმდეგ გაკეთებულ 310 კომენტარს შეადგენს და 2017 წელს ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებით და მიგრანტების საწინააღმდეგო კამპანიით უნდა იყოს განპირობებული.

დიაგრამა 2. სიძულვილის ენის ტიპოლოგია 2016-2017 წლებში




	2017	2016
ქსენოფობია	948	238
ჰომოფობია	731	454
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	138	71
სიძულვილის ენა სხვა ნიშნით	86	90
რასიზმი	20	15

2.1. ქსენოფობია


ქსენოფობიაში ყველაზე დიდი წილი სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფების (341) მიმართ ქსენოფობიურ კომენტარებზე მოდის, რასაც თითქმის თანაბრად ქსენოფობიური ანტიმიგრანტული (275) და ანტითურქული (274) კომენტარები მოსდევს. გასულ წელთან შედარებით, გაზრდილია თურქოფობიული (2017 – 274; 2016 – 148) და არმენოფობიული (2017 – 58; 2016 – 26) კომენტარებიც.

დიაგრამა 3. ქსენოფობიის ტიპოლოგია



სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიურ კომენტარებში დომინირებდა აზრი, რომ მიგრანტები ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენენ (275). მაღალი იყო ასევე განწყობები მიწების უცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ (215). შემდეგ ადგილებზე უცხოელი ინვესტორების (32) და აზერბაიჯანლების (27) წინააღმდეგ გაკეთებული შეფასებებია, ასევე უცხოელების კრიმინალთან დაკავშირების (15), ჩინელების (14) და ირანელების (9) საწინააღმდეგო კომენტარების მაჩვენებელი.


ჩიზრბრბ 4. ქსენოფობიის ბზრპნიღბი



მიგრანტების შემდეგ ქსენოფობიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქოფობიაზე მოდის (274), სადაც დომინირებდა აზრი, რომ თურქეთი საქართველოს ექსპანსიას ახორციელებს (121) და რომ ის არა სტრატეგიული პარტნიორი, არამედ ისტორიული მტერია (46). ამასთანავე ცალკეული რესპონდენტები ამკვიდრებდნენ აზრს, რომ რუსეთის მსგავსად, თურქეთიც ოკუპანტად (29) უნდა მივიჩნიოთ, რა დროსაც აქცენტის გადატანა რუსეთის თანამედროვე ოკუპაციიდან ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ოკუპაციაზე ხდებოდა, რაც, თავის მხრივ, ისტორიული ტრავმის გაღვივებას ისახავდა მიზნად. ხდებოდა ერთმორწმუნე რუსეთის მუსულმანური თურქეთის საპირწონედ და საქართველოს უსაფრთხოების გარანტად წარმოჩენა (17). ამ კონტექსტში, გარკვეულ შემთხვევებში ყარსის ხელშეკრულების შესახებ კონსპირაციის განვითარება ხდებოდა (8). აღნიშნული კონსპირაციის თანახმად, ყარსის ხელშეკრულებას⁶ 2021 წელს გასდის ვადა, რის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ვერ იქნება და აჭარას თურქეთი დაიკავებს. კეთდებოდა ასევე განცხადებები, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება თურქეთის ინტერესებს ატარებდა (14), ხოლო ქართული ოცნების ხელისუფლება ამჟამად თურქეთის დიქტატით მოქმედებს (10).

⁶ ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 23 ოქტომბერს თურქეთს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ქალაქ ყარსში დაიდო. შეთანხმების თანახმად, თურქეთმა აჭარის ნაწილი, ქალაქ ბათუმის ჩათვლით, ასევე ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ხოლო სანაცვლოდ ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო.
<http://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-potshi-natos-samkhedro-bazis-shesadzlo-gakhsnis-da-qarsis-khelshekrulebis>

დიაგრამა 5. თურქოფობიური გზავნილები




არმენოფობიური კომენტარების (58) დიდი წილი სომხური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას უკავშირდებოდა, მათ შორის, ყველაზე ხშირად ასეთი შეფასებები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ კეთდებოდა („საკოვი“). სხვა შემთხვევებში მკვიდრდებოდა აზრი, რომ მეზობელ ქვეყნას დიდი სომხეთის აღორძინების და საქართველოს ტერიტორიების მიტაცების იდეა ამოძრავებს.

2.2. ჰომოფობია

ერთიანი ჰომოფობიური გზავნილების (731) დიდი წილი მიუღებელ იდენტობაზე (218) მოდის. შემდეგ ადგილზეა კომენტარები, სადაც ლგბტ თემის გამოხატვის თავისუფლება ან მათი უფლებების ადვოკატირება გარყვნილების პროპაგანდასთან არის გათანაბრებული (165). ამავე კატეგორიაში მოხვდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტნისა და „ვიტესის“ მცველის გურამ კაშიას სოლიდარობის აქციის მკვეთრად ნეგატიური შეფასებები, როდესაც 2017 წლის ოქტომბერში „ჰერაკლესის“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში მან LGBT პირთა მხარდამჭერი სამკლავური ითამაშა. მკვიდრდებოდა ასევე მოსაზრებები, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (97), ჰომოსექსუალობა და ერთი სქესის პირთა ქორწინება კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს (78), ჰომოსექსუალური ურთიერთობები ცოდვა, გარყვნილება და ავადმყოფობაა (70). ხდებოდა ინდივიდუალური პირების სექსუალური იდენტობის (36) და რესპუბლიკური პარტიიდან ლგბტ თემის წარმომადგენლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის (10) ნეგატიურ კონტექსტში განხილვაც. 13 შემთხვევაში ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობის წახალისებას ჰქონდა ადგილი.


ჩივიანა 6. ჰომოფობიური გზავნილები



2.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის 140 შემთხვევიდან თითქმის 65% ისლამოფობიაზე მოდის (90), რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსლიმი მიგრანტების წინააღმდეგ გაკეთებულ 35 კომენტარსაც მოიცავს. შემდეგ ადგილზე არიან იეჰოვას მოწმეები (29 კომენტარი), შედარებით ნაკლებადკათოლიკები (5), ზოგადად სექტები (5), სხვადასხვა კონფესიები (3), სომეხთა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია (2), ბაპტისტები (2) და პროტესტანტები (2). გვხვდება ასევე 1 ანთისემიტური კომენტარი, 1 იეზუიტის წინააღმდეგ მიმართული, ხოლო 1 შემთხვევაში მართლმადიდებლური რელიგიით მანიპულირებას ჰქონდა ადგილი.


დიაგრამა 7. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ტიპოლოგია



2.4. სიძულვილის ენა სხვადასხვა მოთივით

სხვადასხვა მოთივით სულ სიძულვილის ენის შემცველი 86 კომენტარი გაკეთდა, საიდანაც ყველაზე მეტი ინდივიდუალური შუღლის გაღვივება და ძალადობისკენ მოწოდება (39) იყო, რომელსაც მოსდევს ნაციონალური მოძრაობის (33), ქართული ოცნების (7), ევროპული საქართველოს (5) და ლიბერალების (2) წინააღმდეგ გაკეთებული შეფასებები, რომელიც სიძულვილის ენას და ხშირ შემთხვევაში, ძალადობისკენ მოწოდებას შეიცავს.

ღიპრება 8. სიძულების ენა სხვა მოტივით



2.5. ჩასიგბი

20 რასისტული კომენტარიდან ყველაზე მეტი (9) მედიაზე მოდის, რომელსაც მოსდევენ პოლიტიკოსები (5), საზოგადოება (4) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (2).

2.6. გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაცია

გეოგრაფიული ნიშნით დისკრიმინაციის ერთი შემთხვევა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „პოს-ტსკრიპტუმის“ წამყვანის მხრიდან ქალაქ თბილისის მერის გეოგრაფიულ წარმომავლობას შეეხებოდა, როდესაც წამყვანმა შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა:


გიორგი გაბუნია, წამყვანი: „ალბათ, დავით ნარმანიას დაავიწყდა, რომ ის დედაქალაქის მერად აირჩიეს და ისევ სადმე სოფელში ჰგონია თავი, სადაც ტუალეტებს დიდი ორმოების თავზე აშენებენ კანალიზაციის გარეშე“.

⁷ მედიის განვითარების ფონდის განცხადება გადაცემა P.S.-თან დაკავშირებით, 13 თებერვალი, 2017. http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/339

3. სიძულვილის ენა წყაროების და ტიპოლოგიის მიხედვით

როგორც დიაგრამა 9 ცხადყოფს, მედიის (573) და საზოგადოების წარმომადგენლების (559) მხრიდან გაკეთებული სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები ყველაზე მაღალია და ისინი თითქმის თანაბარი შეუწყნარებლობით გამოირჩევიან, რასაც მცირედით ჩამორჩება პოლიტიკური კლასი (472). სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაჩვენებელი შედარებით დაბალია (279), რაც უფრო მეინსტრიმულ მედიაზე მათი შედარებით დაბალი წვდომით უნდა იყოს განპირობებული. ყველაზე მცირედ მონიტორინგის სუბიექტ მედიაში სასულიერო პირების სიძულვილის ენაა წარმოდგენილი (44).


დიაგრამა 9. სიძულვილის ენის წყაროები



3.1. ბერძენი

გამოიკვეთა ნ მედია საშუალება, რომელიც ყველაზე ხშირად გამოხატავდა სიძულვილის ენას სხვადასხვა ჯგუფების მიმართ: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კრემლისტურ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ (198) აქვს, რომელსაც მოსდევს ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (141); „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ტვ „ობიექტივი“ (74), რომელიც როგორც ეთნონაციონალისტურ, ასევე კრემლისტურ სარედაქციო პოლიტიკას გამოხატავს; კრემლისტური სააგენტო „საქინფორმი“ (66), ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი „ალია“ (46) და სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე ონლაინ სააგენტო „მარშალპრესი“ (16).

ღიბრება 10. სიძულვილის ენის ბერძენი წყაროები (6 გამოცემა)



**კენკლისური
გამოცემები**
264

1. საქართველო და მსოფლიო geworld.ge
2. საქინფორმი

ეთნონაციონალისტური
187

1. „ასავალ-დასავალი“
2. „ალია“

**ჰიბრიული:
ეთნონაციონალისტური
და კენკლისური**
74


1. ტვ „ობიექტივი“

სახელისუფლო
16

1. მარშალპრესი


როგორც დიკგრამა 11-ზე ჩანს, გარკვეული მედიები, რომლებიც თავადაც გამოირჩევიან სიძულვილის ენით, რესპონდენტების შერჩევასაც ამავე კრიტერიუმით ახდენდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ – 264, ტვ „ობიექტივი“ – 256, გაზეთი „ალია“ – 217, სააგენტო „მარშალპრესი“ – 161) სიძულვილის ენის შემცველ სარედაქციო კომენტარებს რესპონდენტთა ამავე შინაარსის გზავნილები მკვეთრად აღემატება, რაც მათი სარედაქციო პოლიტიკის გამოხატულებაა.

ღიზრანა 11. სიძუძვირის ენა მერიების და მათი რესპონდენტების მიხედვით



მედიის მიერ გაკეთებულ სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებში ყველაზე მაღალია ჰომოფობიის მაჩვენებელი (255), რომელსაც ქსენოფობია (246) მოსდევს, რაც თავის მხრივ თურქოფობიულ (77) და არმენოფობიურ (26) კომენტარებს მოიცავს. მედიის მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაში (52) დიდი წილი ისლამოფობიაზე (33) მოდის. მონიტორინგის სუბიექტმა მედიის წარმომადგენლებმა 2017 წელს 9 რასისტული კომენტარი გააკეთეს.

ღიზრანა 12. სიძუძვირის ენის ტიპოლოგია მერიის საშუალებების მიხედვით



ჰომოფობია. მონიტორინგის სუბიექტი მედია საშუალებების მხრიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური შინაარსის კომენტარი გაკეთდა (255), საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (112) ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ (Geworld.ge) აქვს. შემდეგ ადგილებზე არიან გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (75), ონლაინ-პორტალი „საქინფორმი“ (25), გაზეთი „ალია“ (24) და ტვ „ობიექტივი“ (11).

„საქართველო და მსოფლიოს“ შემთხვევაში ყველაზე მაღალია იმ გზავნილების მაჩვენებელი (46), რომელიც ამტკიცებს, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, გარყვნილი ცხოვრების წესს, პედოფილიას. ამავე მოსაზრებას სხვა გამოცემებშიც ვხვდებით:

ანო ხილიჩაპოვილი, მთავარი რედაქტორი: „...ნატო – მხოლოდ სამხედრო ბლოკი და M-240 ტყვიამფრქვევები კი არ არის, რომლებითაც გასულ კვირას ქართულ არმიაში კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევები შეცვალეს, არამედ „ღირებულებათა სისტემა“... რომელიც ჰომოსექსუალისტს – ლუქსემბურგის პრემიერის ცოლს – ჯგუფურ ფოტოზე ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერების მეუღლეებთან ერთად გულსხმობს; ... მაშ შეგვეფერება თუ არა ჩვენ ეს „ღირებულებათა სისტემა“?! შეეხამება თუ არა ის კავკასიის ტრადიციებს, ქართულ ღირებულებათა სისტემას? არა, ეწინააღმდეგება“ ... (საქინფორმი, 5 ივნისი).

ნინო ჩაიშვილი, წამყვანი: „ხო, არა, იქ [ნორვეგიაში] უკვე დამთავრებულია. იქ, სამწუხაროდ, უკვე სქესი უნდა აირჩიონ თვითონ ადამიანებმა და არა უფალმა“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 მარტი).

„საქართველო და მსოფლიო“ აიდეალებდა საბჭოთა სისტემას, სადაც ჰომოსექსუალობის პრობლემა „არ არსებობდა“ და მის კრიმინალიზებას მოითხოვდა, ხოლო გაზეთი „ასავალ-დასავალი“ – ჰომოსექსუალებთან და ნარკომანებთან მიმართებით, ადოლფ ჰიტლერის ქმედებებს, რითაც ძალადობის წახალისებას ახდენდა:

ლუკა მაისურაძე, ჟურნალისტი: „საბჭოთა კავშირის არსებობას 60-წლიან პერიოდში, ანუ 1922-დან 1991 წლამდე ქვეყანაში ყველა თანასწორუფლებიანი იყო, არ იყვნენ მათხოვრები, ყველა მუშაობდა, ხოლო ისეთი საზიზღრობის შესახებ, როგორც არის ჰომოსექსუალიზმი და სხვა გარყვნილება, ბევრს არაფერი სმენოდა... კანონი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა პედერასტების სისხლისსამართლებრივი დევნა, არ გვაქვს. აუცილებლად უნდა გამოიცეს კანონი პედერასტიაზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ (საქართველო და მსოფლიო, 9 მარტი).

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: „უკლებლივ ყველა ნარკომანი დააპატიმრა [ადოლფ ჰიტლერმა] და მამათმავლებთან ერთად ჩრდილოეთ გერმანიის ზღვებში გემებზე შეყარა... უკლებლივ ყველა გემი ბორტზე მყოფ ნარკომანებთან, პედერასტებთან და ლესბოსელებთან ერთად ჩაძირა!

ასე გაწმინდა ფიურერმა გერმანია ავხორცებისა და ნარკომანებისგან, რამაც ჰიტლერს საშუალება მისცა, „არიული რასისგან“ უძლიერესი არმია შეექმნა, რომელმაც მთელი ევროპა მუხლებზე დააჩოქა და დანარჩენ მსოფლიოს მთელი ექვსი წელი წარმატებით ეომა!“ (ასავალ-დასავალი, 19-25 ივნისი).

საზოგადოებრივი მაუწყებლის და რუსთავი 2-ის შემთხვევაში ჰომოფობიური შინაარსის კომენტარი აღნიშნული მაუწყებლების ეთერით არ გაკეთებულა, თუმცა, ერთ შემთხვევაში ის სამეურვეო საბჭოს წევრმა, ხოლო მეორე შემთხვევაში გადაცემის წამყვანმა ჯერ სოციალურ ქსელში გააკეთეს, შემდეგ ეს კომენტარები ტაბლოიდურ მედიაში გავრცელდა:

გიორგი იაკობაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი: „30 წლის კაცმა [გურამ კაშიამ]⁸ ერთ დღესაც გაიღვიძა და ლგბტ სიმბოლიკის ტარება გადაწყვიტა... თუ ვიღაცამ ეს მის ნაცვლად გადაწყვიტა და ყურში ჯარიმა და დისკვალიფიკაცია უხსენა?... ფაქტი სახეზეა – კაშიაზე ჰოლანდიაში ლგბტებმა იძალადეს, ხოლო საქართველოში – სადღობელაშვილებმა... ჩართეთ 1936 წლის ოლიმპიადის გახსნის კადრები და დანახავთ, როგორ მიაბიჯებს ათასობით სპორტსმენი, ფაშისტური მისალმებით, ფაშისტებისკენ მზერამიპყრობილი. ისინი ფაშისტებმა აიძულეს, კაშია – ლგბტ-ს უფლებების დამცველებმა“ (მარშალპრესი, 2 ნოემბერი).

ნანუკა ჟინაურიანი, ჟურნალისტი: „მე ვთქვი, არ გამეხარდება ჩემი შვილი რომ გეი იყოს“ (ალია, 30 ოქტომბერი).

ქსენოფობია. ჰომოფობიის მსგავსად მაღალი იყო მედიის ქსენოფობიური კომენტარები (246), საიდანაც ყველაზე დიდი წილი (61) ანტიმიგრანტულ განწყობებზე მოდის.

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „ჰოდა, თუ თვით ევროკავშირის წევრები არ ეპუებიან ამ დამანგრეველ საიმინგაციო პოლიტიკას, ჩვენ ვისი ტიკიტომარები ვართ, რომ ასე ფართოდ გავუღეთ კარი ყველა ჯურის ძალსა და ღორს?!“ (ასავალ-დასავალი, 11-17 სექტემბერი).

სათაური: „ახლა კი ისე ნებიერად დაგოგმანებენ მათ მიერვე ექვსჯერ გადამწვარ თბილისში, რომ სულ აღარ ჭირდებათ ჩვენი „შეშინება“ – ნანა გაგუა (მარშალპრესი, 19 აგვისტო).

ხშირად ხდებოდა ასევე მიგრანტების კრიმინალთან დაკავშირებაც:

ნინო სახანაძე, ჟურნალისტი: „სამწუხარო რეალობაა ის ფაქტი, რომ გზაცდენილი უცხოტომელები დათარეშობენ და დღე არ გავა, არ გავიგოთ ინფორმაცია, რომ არაბმა, ირანელმა, თურქმა გააუპატიურა არასრულწლოვანი გოგონა და თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭებზეც ნადირობენ და ძალადობენ“ (ალია, 3-9 ივლისი).

თითქმის ყველა მედიაში მაღალი იყო მიწის უცხოელებზე გასხვისების და ინვესტორების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები:

სათაური: „რამდენიმე წელიწადში ქართულ მიწებს უცხოელები დაეპატრონებიან!“ (რეზონანსი, 10 იანვარი); **სათაური:** „ქართულ მიწებს არაბები, ინდოელები, ირანელები და თურქები ინაწილებენ“ (რეზონანსი, 17 მაისი).

⁸ საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანმა და „ვიტესის“ მცველმა გურამ კაშიამ 2017 წლის ოქტომბერში „ჰერაკლესის“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში LGBT პირთა მხარდამჭერი სამკლავურით ითამაშა, რასაც საქართველოში მკვეთრად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა.

ბივის სოხიანი, ავტორი: „განა ის, ვინც ქართულ მიწას ყიდის და საქართველოს მოქალაქეობას ურიგებს მათ, ვინც დედაბუდიანად სამუდამოდ მკვიდრდება საქართველოში, სამშობლოს მოღალატე არ არის?! შაჰ-აბასიც ცდილობდა საქართველოდან ქართველთა გასახლებასა და უცხოეთში მათების ჩამოთესლებას“ („საქართველო და მსოფლიო“, 23 ივნისი).

ბონელო მინაია, მამყვანი: „ეხლა აღმაშენებლის პროსპექტზე რომ გაიარეს იმ ადამიანებმა [ქართულმა მარშმა] იმის გასაპროტესტებლად, რომ საქართველოში უგზო-უკვლოდ არ დაბოდილობდნენ ადამიანები, უცხოელები, რომლებსაც, აცხადებენ, რომ ინვესტორები არიან... სუფთად მაინც უნდა ეგვას და ახლა ეს ჩაბინძურებული ადამიანები რომ დადიან ქუჩაში, ამათი ინვესტორებად გამოცხადება რანაირად შეიძლება?!“ (ობიექტივი, ღამის სტუდია 26 ივლისი).

უცხოელი მიგრანტების გარდა, ქსენოფობიური განცხადებები საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანლების მიმართაც კეთდებოდა:

ნინო ნატიშვილი, მამყვანი: „იცით, სირცხვილია და ფაშიზმად ნათლავენ, მაგალითად, თუ გული მწყდება იმაზე, რომ საქართველოში სიდიდით მეორე, ყველაზე დიდი გვარი არის მამედოვი. მამედოვების წინააღმდეგი კი არ ვარ, მე გამეხარდება რომ საქართველოში სიდიდით ყველაზე დიდი გვარი იყოს ქართული“. (ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 ივლისი).

თაქოფოია. თურქოფობიით ყველაზე მეტად „საქართველო და მსოფლიო“ (28), „ობიექტივი“ (19) და „ასავალ-დასავალი“ (10) გამოირჩეოდნენ, რომლებიც ისტორიულ მტრობაზე, თურქეთის ექსპანსიაზე აკეთებდნენ აქცენტს და ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ოკუპაციას რუსეთის თანამედროვე ოკუპაციის საპირწონედ წარმოაჩენდნენ, რითაც ისტორიულ ტრავმას აღვივებდნენ. ამასთანავე, გარკვეულ შემთხვევებში, მუსულმანურ თურქეთთან ერთმორწმუნე რუსეთის უპირატესობის ხაზგასმა ხდებოდა:

ღავით მხიძე, ავტორი: „რუსეთი ოკუპანტია და თურქეთი მეგობარი? ვისაც ისტორიული მეხსიერების ყურთასმენა დახშული არ აქვს, დღესაც ესმის განწირული წივილ-კივილი ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭებისა, რომლებსაც თურქი იანიჩარები სამი საუკუნის განმავლობაში სტამბოლის მონათა ბაზრისკენ მიერეკებოდნენ... ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ამიტომ ვერ დავსვამ ტოლობის ნიშანს თანამედროვე თურქეთსა და რუსეთს შორის“ (საქართველო და მსოფლიო, 6 სექტემბერი).

ბონელო მინაია, მამყვანი: „რო გავა, რა, 100 წელი რუსეთი აღარ იქნება ოკუპანტი? ეხლა თურქეთთან ზუსტად 100 წელია გასული რაც წაგვართვა ეს ტერიტორიები“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 სექტემბერი).

„საქინფორმი“ კი ყარსის შესახებ კონსპირაციას ავითარებდა, რითაც თესავდა შიშს, რომ რუსეთის ფაქტორის გარეშე თურქეთი აჭარის ტერიტორიას მიითვისებდა:

ანო სიღინაიშვილი, მთავარი რედაქტორი: „რუსეთი უდავოდ უარს იტყვის, თურქეთის წინაშე საქართველოს გარანტი იყოს ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, რომლის ვადა 2021 წელს იწურება, და ამ ხელშეკრულების თანახმად აჭარა თურქეთს გადაეცემა“ (საქინფორმი, 15 მარტი).

ანიენოვობა. არმენოფობიურ მასალებს ყველაზე ხშირად „ასავალ-დასავალსა“ (9) და „საქინფორში“ (8) ვხვდებით, სადაც, ძირითადად, სომხური იდენტობის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით დაუსაბუთებლად ხდებოდა (სააკოვი). სხვა შემთხვევებში კი აქცენტი იდენტობის მიუღებლობაზე და სომხების მიერ საქართველოს მიტაცების განზრახვაზე კეთდებოდა:

მამუკა ნახვალაძე, ჟურნალისტი: „ქართულ-სომხურ სახელმწიფოში ქართველთა პირველობის აღიარებას საეჭვო ხომ არაა სომხური ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე? სომეხს სხვისი პირველობის შეგუება ნამეტანი უჭირს, არადა აქ ის საკმაოდ მოკრძალებულ პოზიციაზეა ყაბულს“ (რეზონანსი, 19 აგვისტო).

მამუკა ნახვალაძე, ავტორი: „ეს [დიდი სომხეთის აღორძინების იდეა] კი სხვა არა არის რა, თუ არა იდეა ქართული ტერიტორიების მიტაცებისა და ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისა“ (რეზონანსი, 27 მაისი).

გონდო მძინარაშვილი, წამყვანი: „ჩვენ სომხების აფხაზეთში დაბრუნებას ვაპირებთ და სომხების აფხაზეთის დაბრუნებას ვაპირებთ საქართველოს შემადგენლობაში?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 ოქტომბერი).

სიძულვილის ანა სხვა მოთხრობით. პოლიტიკური მოტივით სიძულვილის ენას მეტწილად გაზეთი „ასავალ-დასავალი“ აღვივებდა:

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „ნაცი ქართველი ერის გენეტიკური ნაგავია! ნაცი არ შეიძლება იყოს პატრიოტი (აქაოდა, რუსეთი იმიტომ გვძულს, რომ საქართველოს პატრიოტები ვართო!), რადგან ტერორისტების მიერ დაფლეთილი უდანაშაულო ბავშვების გვამებზე სიხარულით მოცეკვავე, გარეწარი, არამზადა და საქონელია და ამდენად, არ შეიძლება იყოს პატრიოტი!“ (ასავალ-დასავალი, 10-16 აპრილი).

ჩასიზმი. რასობრივ შეფასებებს მეტწილად გამოცემა „საქართველო და მსოფლიოში“ ვხვდებით, ცალკეულ შემთხვევებს კი სხვა მედიებშიც:


ანდრეი აღუხაევის წერილის მიხედვით: „არანაირი რასობრივი ჰარმონია არ არსებობს... ტოლერანტულობის დიქტატურის მიუხედავად, საუბარი რასობრივ ომზე ევროპაში სულ უფრო აქტუალურია. საქმე ის კი არ არის, რომ ჩვენთვის მუსლიმური კულტურაა უცხო, არამედ ის, რომ ჯერ არ მოგმწიფებულვართ ურთიერთგაგებისთვის... გერმანია თითქმის ოკუპირებული აქვთ თურქებს... 2 თეთრი რასა მალე გადაშენდება“ (საქართველო და მსოფლიო, 21 ივლისი).

გონდო მძინარაშვილი, წამყვანი: „სულ უცხოელები და თან, კაცო, რომელი უცხოელები – ევროპელები მაინც დადიოდნენ! ეს შავ-შავი ხალხი!“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 25 ოქტომბერი).

3.2. პანთიები

გამოვლინდა 10 პარტია, რომელიც ყველაზე ხშირად აღვივებდა სიძულვილის ენას, მათგან პირველ ადგილზე „პატრიოტთა ალიანსი“ (132), რომელსაც მოსდევს მოძრაობა „ეროვნულები“ (73), რომლის ლიდერი ულტრა-მემარჯვენე მოძრაობა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და მოძრაობის დაფუძნების შემდეგ კვლევაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებში „ქართული მარშის“ სახელით ფიგურირებს, ისევე როგორც პარტია „ჩვენი სამშობლოს“ (18) წარმომადგენელი გია კორკოტაშვილი, რომელიც „ქართულ მარშს“ შეუერთდა. ათეულში მოხვდა ასევე „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი პარტია „ქართული იდეა“ (17). ულტრამემარჯვენე პარტიების გარდა ათეულში პრორუსული პარტიები „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ (57), „თავისუფალი საქართველო“ (26) და „ქართული დასიცაა“ (20). ათეულში ასევე წარმოდგენილია მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ (45).

ღიზრება 13. სიძულვილის ენის წყაროები პანთიების მიხედვით (10 პანთია)



1. პატრიოტთა ალიანსი
2. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა
3. თავისუფალი საქართველო
4. მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის
5. ქართული დასი
6. მემარცხენე ალიანსი


- „ქართული მარშის“ ორგანიზატორები
1. ეროვნულები
 2. ქართული იდეა
 3. ჩვენი სამშობლოს

1. ქართული ოცნება

პარტიების პრორუსულად და ულტრამემარჯვენეობის ნიშნით დაყოფა საჯარო დისკურსში მათ პოზიციონირებას უკავშირდება, თუმცა ამ აქტორების გზავნილები, როგორც სიძულვილის ენის, ასევე ანტიდასავლური კომენტარების კუთხით, იდენტურია და მათ შორის ტოლობის ნიშანი შეიძლება დაისვას.

პოლიტიკოსების მხრიდან ყველაზე მეტი ქსენოფობიური კომენტარი (268) გაკეთდა, რომელიც თურქოფობიის (84) და არმენოფობიის (3) მაჩვენებელსაც მოიცავს; შემდეგ ადგილზეა ჰომოფობია (153), სიძულვილის ენა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ (24), რელიგიური შეუწყნარებლობა (21), სადაც დიდი წილი ისლამოფობიაზე (14) მოდის. პოლიტიკოსებმა 2017 წელს 6 რასისტული განცხადება გააკეთეს.

ღიპრება 14. სიძულვილის ენის ტიპოლოგია პარტიების მიხედვით



ქსენოფობია. პარტიების მიერ გაკეთებულ ქსენოფობიურ განცხადებებში დიდი წილი მიგრანტებზე და მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე მოდის. გარკვეულ შემთხვევებში მიგრაციის და მიწის გასხვისების პროცესის ოკუპაციასთან და ტერორიზმის საფრთხესთან, ასევე ვიზალიბერალიზაციის შედეგად მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან ხდება:

ინა ინაშვილი, პარტიული აღიარება: „აზიური ქვეყნები, საიდანაც ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის მოქალაქეები, ყიდულობენ მიწებს და აშენებენ სოფლებს, იქ მაღალი არის ტერორიზმის საფრთხე“ (რუსთავი 2, კურიერი, 15 ივნისი).

გაქარა ქუხაშვილი, ქართული ოცნება: „რა გაქვს საამაყო? როდესაც საქართველოს ტერიტორიის 25% გაყიდული და ოკუპირებული გაქვს?!“ (მარშალბრესი, 15 ივნისი).

სანდრო ბრეგვაძე, ეროვნული ოცნება: „ახლა თუ გვყავს მილიონნახევარი ემიგრანტი, ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლის შემდეგ კიდევ ერთი მილიონი დაგვემატება, საქართველოში აფრიკელები და არაბები

დასახლდებიან, რითაც ჩვენი დემოგრაფიული სურათი კიდევ უფრო გაუარესდება და საბოლოოდ, ქართველები ეგზოტიკურ აბორიგენებად გადავიქცევით“ (კვირის პალიტრა, 6-12 თებერვალი).

დიმიტრი ლონთიქიანიძე, გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიციის მდიანი: „რატომ უნდა აწარმოოს გადამთიელმა, საქართველოში, მისთვის საჭირო პროდუქტი, ჩემს მიწაზე?.. საქართველოს რა ხიერი აქვს?“ (კავკასია, ბარიერი, 30 იანვარი).

საქართველოდან გატაცებული ამერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მეუღლის, ლეილა მუსტაფაევას მიმართ ქსენოფობიური კომენტარი მმართველი პარტიის წარმომადგენელმა გააკეთა:

დიმიტრი სახანაძე, ქართული ოცნება: „დღეს მისი ცოლი [ლეილა მუსტაფაევა], ჩვენი ქვეყნის შსს-ს მინისტრის გადადგომას ითხოვს! ხვალ მისი ცოლის ნათესავი პრემიერის გადადგომას მოითხოვს და ზევ მისი ნაცნობი ჩვენი სამშობლოსთვის სახელის შეცვლას მოინდომებს“ (მარშალპრესი, 17 ივლისი).

თურქოფობია. თურქოფობიური კომენტარების ნახევარზე მეტი პატრიოტთა ალიანსზე (48) მოდის, რომელმაც არჩევნებზე ელექტორატის კონსოლიდირება სწორედ თურქოფობიური ნარატივებით შესძლო. პარტია ამკვიდრებდა აზრს, რომ თურქეთი არა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, არამედ ისტორიული მტერია და თუ რუსეთს მივიჩნევთ ოკუპანტად, თურქეთიც ასეთად უნდა განვიხილოთ, რითაც ისტორიული ტრავმის გაღვივებას ახდენდა:

დავით თანახან-მოურავი, კავშირითა აღიანსი: „ისტორიული მეგობარი როგორ არი, განვლილი 1000 წლის განმავლობაში, თურქეთმა 53-ჯერ მინიმუმ, შემოესია თურქეთი საქართველოს. ეს იცით რას ნიშნავს?! ყოველ 19 წელიწადში, 1000 წლის განმავლობაში, საშუალოდ, სტატისტიკურად, 19 წელიწადში ერთხელ, თურქეთი შემოდიოდა ომით, ცეცხლით საქართველოში... ბოლო 450 წლის განმავლობაში 25-ჯერ გადაიხედა საქართველოს ფარგლები და ჩვენი ტერიტორიის 33% აქვს დღეს თურქეთს“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 დეკემბერი).

საველე კახიოსიანი, „კავშირითა აღიანსი“, ახალქალაქის მერიის კანდიდატი: „რუსეთს არ შეუერთებია აფხაზეთი და ცხინვალი, თურქებმა კი ქართული მიწები შეიერთეს. ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრისას ამ მიწებზეც უნდა ვილაპარაკოთ“ (რუსთავი 2, პოსტსკრიპტუმი, 22 ოქტომბერი).

როგორც „პატრიოტთა ალიანსი“, ასევე სხვა პარტიებიც ცალკეულ შემთხვევებში ავითარებდნენ აზრს, რომ ნატოში ინტეგრაციის საფასური საქართველოში თურქეთის ინტერვენცია იქნება, ასევე ავრცელებდნენ კონსპირაციას ყარსის ხელშეკრულების შესახებ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პროცესში რუსეთის განსაკუთრებული როლის წარმოჩენას ახდენდნენ:

გიორგი გალაკავიძე, კავშირითა აღიანსი: „ნატო ჩვენთვის არის თურქეთის ნატოს ინტერვენცია ჩვენს ტერიტორიაზე, ბელგიელი და ჰოლანდიელი და დანიელი აქ არ იქნება. აი, ამაზე იყო ლაპარაკი და კი ვხედავთ დღეს რა მდგომარეობაა“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 ოქტომბერი).

თამაზ ბაიური, თამაზ ბაიური ერთიანი საქართველოსთვის: „რატო არავის უფიქრია, რომ ნატო-ში შესვლა „მწვანე შუქს“ აუნთებს თურქეთს აქ ჯარების შემოსაცვანად! თურქეთმა ერთ მშვენიერ დღეს რომ შემოაღოს თავისი ჯარები აჭარაში და თქვას ბათუმი ჩვენი ისტორიული ქალაქიაო, როგორ გგონიათ იმათ იქედან ამერიკა გაყრის თუ ევროკავშირი?! რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აჭარის თურქული ექსპანსიისგან ისევ რუსეთის ფაქტორი გვიცავს!“ (ასავალ-დასავალი, 21-27 აგვისტო).

ანდროშოია. პარტიების მხრიდან სულ 3 არმენოფობიური განცხადება გაკეთდა, აქედან 2 შემთხვევაში სომხური იდენტობა ნეგატიურ კონტექსტში იყო წარმოჩენილი, ერთი კომენტარი კი საქართველოს მიმართ „დიდი სომხეთის“ დამპყრობლურ ზრახვებს შეეხებოდა:

ბია კოჩოტაშვილი, ჩვენი საშობალო: „რუსეთი აგრესორია, დამპყრობელია და მაგის ფონზე არა ჩანს “великая Армения” და “Осменская империя” რომელიც როცა შანსი მიეცემა ჩვენ სისხლს დაღვევენ!“ (ალია, 1-7 მაისი).

ჰომოშოია. ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერმა გააკეთა (40), რომელსაც „პატრიოტთა ალიანსი“ (23) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ (23) მოსდევენ. პოლიტიკოსების უმეტესობა ერთი სქესის პირთა ქორწინების კანონმდებლობით აკრძალვას, ნაწილი ანტიდისკრიმინაციული კანონიდან გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით არსებული დისკრიმინაციის ჩანაწერის ამოღებას ითხოვდა:

სანდრო ბიგაძე, ეროვნული: „ათიათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაში პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოში არასდროს არ დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება“ (ალია, 3-9 აპრილი).

დიმიტრი ღონთიყვანიძე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“: „ვიყავი, ვარ და მომავალშიც დავრჩები იმ აზრზე, რომ გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით არსებული დისკრიმინაციის ფაქტი, ამ კანონიდან [ანტიდისკრიმინაციული] როგორც ტერმინები უნდა იქნას ამოღებული, ვინაიდან ის იძლევა ძალიან მაგნე ინტერპრეტაციის საშუალებას“ (კავკასია, ბარიერი, 11 იანვარი).

როგორც მმართველი პარტია „ქართული ოცნების“, ასევე საპარლამენტო ოპოზიცია „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები ჰომოსექსუალობას გადახრად, ანომალიად და ავადმყოფობად აფასებდნენ:

ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება: „[ჰომოსექსუალობა] ჩემთვის ეს არის ანომალია და გადახრა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ეს არ ნიშნავს ვიღაცის შევიწროებას, დევნას...“ (საქართველო და მსოფლიო, 15 ნოემბერი).

დავით თანხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „მამათმავლობა და დედათმავლობა ეს არის დაავადება, ეს არის ფსიქიკის დაავადება, ხშირად ეს არის გენეტიკისა და ფსიქიკის დაავადება ერთად, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის დაავადება. ეს არ არის სიკეთე! ეს არის ძალიან ცუდი და ეს დაავადება საჭიროებს მკურნალობას!“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 ნოემბერი).

პროპაგანდად ფასდებოდა, როგორც ლგბტ თემის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლება, ასევე ფეხბურთელ გურამ კაშიას მიერ თემის სოლიდარობის ნიშნად ლგბტ პირთა სამკლავურის გაკეთება:

ნიკოპაჩაძე, გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიციის წევრი: „პროპაგანდა არის ის, რომ გამოდის ორი შვილის დედა და ან ორი შვილის მამა და იძახის, რომ, ესე ვთქვათ, სხვა ორიენტაციის არის და ეს არის თურმე ნორმალური; და პროპაგანდა არის ის, როდესაც ვიღაცა მიმტკიცებს, რომ თურმე ბავშვს რომ დედა და დედა და მამა და მამა ჰყავს ეს არის ნორმალური... ნუ გავაკეთებთ არანორმალურის ან ესე ვთქვათ, საზოგადოებისათვის მიუღებლის პროპაგანდას“ (მარშალბრესი, 31 ოქტომბერი).

ზაზა კაკაუაშვილი, ქართული ოცნება: „ლგბტ“ თემის გამო ქვეყანა ხომ არ უნდა აირ-დაიროს? ამ თემების პროპაგანდისთვის ფული იხარჯება... ფეხებზე მკიდია „ლგბტ“ მხარდაჭერის მიზნით სამკლავურის გამკეთებელიც და ამის მომხრეებიც“ (საქართველო და მსოფლიო, 30 ოქტომბერი).

მანია ჯაფარიძე, ქართული ოცნება: „შესაბამისად, გადაჭარბებულად მოხდა თუნდაც დროის რესურსის დათმობა აღნიშნული თემისთვის [გურამ კაშიას მონაწილეობით ლგბტ თემის მხარდაჭერი კამპანიისთვის]. ჩემი პოზიციაა – არა ძალადობას და არა ლგბტ პროპაგანდას“ (საქინფორმი, 8 ნოემბერი).

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის 21 შემთხვევიდან დიდი წილი (14) ისლამოფობიაზე მოდის, რომელიც ანტიმიგრანტულ განწყობებსაც მოიცავს. ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება იეჰოვას მოწმეთა, კათოლიკების და სხვადასხვა კონფესიების მიმართ დისკრიმინაცია:

ღავით თაჩან-მოუჩაი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი: „ამ ლტოლვილებს, რომელთა მიღება ჩვენ არ შეგვეძლო და ჩვენს ლტოლვილებს ვერ ვუვლით, ამათ შემოჰყვა ბევრი ტერორისტები, ისევე როგორც ევროპაში და, პირველ რიგში, ესენი არიან მანდილოსნები, რომლებიც დადიან ჩადრებში და ვითომ, ჩვეულებრივი მანდილოსნები არიან, მაგრამ ამ დროს სწორედ იმ ხალიფატის... ხალიფატი იყო მე-VIII საუკუნეში, მე-IX საუკუნეში ყველაზე დიდი იმპერია მსოფლიოში, არაბების იმპერია და ესენი ამბობენ, რომ ჩვენ ხელახლა უნდა აღვადგინოთ ხალიფატი და საქართველო იქ შეყვანილია ხალიფატის ნაწილადაა გამოცხადებული და ეს ხალხი ეხლა აქაცაა შემოსული და აქაც გეგმავენ ასეთ აქტებს და ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 დეკემბერი).

ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „კათოლიკური ევროპისა და გაუგებარი რწმენის მქონე ამერიკის მრწამსი ქართველი კაცის გონებაში ვერასოდეს შემოვა, ისევე, როგორც ვერ შემოვიდა ჩვენთან მუდმივი მტრების – მუსლიმანების რწმენა. ჩვენ ვერ გავხდებით ლიბერალები“ (საქართველო და მსოფლიო, 10 მარტი).

ჰონგი ბალათაია, ქართული ოცნება: „ვინ არიან იელოველები?! მშვიდობიანი მორწმუნეები თუ ექსტრემისტები, რომლებიც ძირგამომხრელ საქმიანობას ეწევიან!!!“ (ალია, 27 მარტი- 2 აპრილი).

სიძულვილის ანა სხვა მოსივით. პოლიტიკური მოტივით სიძულვილის ენის გარდა, ადგილი ჰქონდა ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას და გარკვეულ შემთხვევებში, ძალადობისკენ მოწოდებას:

გაზა პაპაშვილი, ქართული ოცნება: „[ნაციონალური მოძრაობის] სახედრობის ყურება უკვე აღარ შეიძლება. აი, უნდა გაიყვანო ესენი, აი, ლეიბებს რო ბერტყავენ, აი იმ საბერტყით უნდა ურახუნო და ურახუნო ერთ ადგილზე რომ ცოტა გამოებერტყოთ ეს ტვინი ამ მტვრიდან. რა ფასეულობები თქვენა გაქვთ, უზრდელები ხართ ელემენტარული, არც ტაქტი იცით, არც რიდი იცით“ (რუსთავი 2, კურიერი, 16 ივნისი).

მამი მოსიჩიქა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: „ჩემი ნება რომ იყოს, დახვრეტის მუხლს ალვადგენდი, ოღონდ დრელით დავხვრეტდი რუსეთუმე დებილ ქოცხებს. წარმოიდგინეთ რა სანახავები იქნებოდნენ“ (მარშალპრესი, 17 სექტემბერი).

ჩასიზმი. რასისტული კომენტარები „პატრიოტთა ალიანსის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს:

პაპა მოთაშვილი, პატივითა აღიანსი: „ის შავი მასა, რომელმაც ჯერ პლენანოვი დაიბყრო“... (ობიექტივი, ღამის სტუდია, 9 დეკემბერი).


შადვა ნათიაშვილი, რეპორაჟული პარტია: „ივანიშვილს რომ შეხედავს უცხოელი, რას იფიქრებს, რომელი რასის წარმომადგენლები ვართ: აფრიკანული, ყვითელი რასის წარმომადგენელი თუ რაღაცა შერეული ნეგროიდული და რაღაცა სხვადასხვა რასის. კაცს არ ეტყობა რასობრივი კუთვნილება“ (TV პირველი, რეაქცია, 19 სექტემბერი).

3.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციები


გამოიკვეთა 5 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებს მონიტორინგის სუბიექტ მედია საშუალებებში ყველაზე ხშირად ვხვდებით. ეს ორგანიზაციებია „ქართული მარში“ (111), „სახალხო კრება“ (28), „უფლებადამცველთა გაერთიანება“ (24), „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ (18), კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი (14).

აღნიშნული ორგანიზაციებიდან „ქართული მარში“ ულტრა-მემარჯვენე მოძრაობაა, ხოლო „სახალხო კრება“ პრორუსულ პარტია „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული“ ორგანიზაცია. აღნიშნული პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი თბილისში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელი გურამ ფალავანდიშვილი იყო, რომელიც ამავე დროს, ეთნო-ნაციონალისტ ლევან ვასაძესთან დაკავშირებული პირიცაა. „უფლებადამცველთა გაერთიანების“ და „კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის“ წარმომადგენლები სიძულვილის ენასთან ერთად ღიად პრორუსულ პოზიციებს გამოხატავენ.

ღიზრება 15. სიძულვილის ენის წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით (5 ორგანიზაცია)



საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული კომენტარებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური (127) შინაარსის იყო, რასაც თითქმის თანაბრად მოსდევს ქსენოფობია (122). შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (18), სიძულვილის ენა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ (10) და რასისტული შინაარსის შეფასებები (2).



კომოლოცია. ჰომოფობიის მხრივ, ყველაზე მეტად „ქართული მარში“ (53), „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ (16) და „სახალხო კრება“ (13) გამოირჩეოდნენ. „ქართულმა მარშმა“ ყველაზე მეტი ნეგატიური შეფასება ფეხბურთელ გურამ კაშიას მიერ ლეგბტ თემის სოლიდარობის ნიშნად სამკლავურის გა-

კეთებასთან დაკავშირებით გააკეთა; „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ კი ამტკიცებდა, რომ საბავშვო ბაღებში ახალი სტანდარტის დანერგვა ჰომოსექსუალობის სწავლებას ისახავდა მიზნად.

სანდრო ბივაქა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი: „როდესაც მე ხელში მიჭირავს ან მკლავზე მიკეთია ჰომოსექსუალიზმის სიმბოლო, მაშინ მე ვარ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისტი. ჩვენის ღრმა რწმენით, ქართველ სპორტსმენს და ქართველ კაცს არ შეეფერება, რომ იყოს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის მებარახტრე“ (იმედი, ქრონიკა, 31 ოქტომბერი).

გუგუნიანი ზაქარია, ფილოსოფი: „მათ [ლგბტ თემის წარმომადგენლებს] ყველაფრის უფლება აქვთ, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ასწავლონ ჩვენს ბავშვებს სკოლაში. იმსახურონ ჯარში. იმღვინონ სახელმწიფო სტრუქტურებში, პარლამენტში... თუ მორფინისტს არ აქვს უფლება სკოლაში ასწავლოს, მამათმავალს აქვს ამის უფლება?“ (მარშალბრესი, 17 მაისი).

„სახალხო კრება“ კი ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს ზოოფილიასთან ათანაბრებდა და მის კანონით დასჯას ითხოვდა.

ელიზბარ ჯავახიძე, სახალხო კრება: „მამათმავლობა ჩემთვის იგივეა, რაც ზოოფილია ... მინდა, ისეთ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც მამათმავლობა კანონით ისჯება!“ (ასავალ-დასავალი, 6 -12 ნოემბერი).

ქსენოფონია. ქსენოფონიაში ძირითადად მიგრანტების წინააღმდეგ „ქართული მარშის“ (40) მიერ გაკეთებული განცხადებები სჭარბობს. ხდებოდა აზიური და აფრიკელი მიგრანტების კრიმინალთან და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირება:

სანდრო ბივაქა, მოძრაობა ერთგულება: „პედოფილები და მანიაკები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან არალეგალურად თუ ლეგალურად, ამას მნიშვნელობა არ აქვს, დაუსჯელობის სინდრომით არიან შეპყრობილი“ (რეზონანსი, 5 ივლისი).

თინათინა. „უფლებადამცველთა გაერთიანება“ ყარსის ხელშეკრულების კონსპირაციას ახმოვანებდა და „თურქული საფრთხისგან“ დაცვის ალტერნატივად რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას ასახელებდა:

ნიკოლოზ მუხამბაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: „ხომ აშკარაა, რაზე აქვთ თურქებს გათვლა – ბათუმსა და აჭარაში შექმნილი თავიანთი ანკლავი, მერე მოითხოვონ პლებისციტის ჩატარება და ბათუმი და აჭარა მიუერთონ თურქეთს! ამას რა შეაჩერებს? ერთდერთი რამ – ბათუმში ერთობლივი რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრის გახსნა!“ (ასავალ-დასავალი, 24-30 ივლისი).

ანიკოპია. „ქართული მარშის“ წარმომადგენელი სომხეთს საფრთხედ წარმოაჩენდა და ეჭვქვეშ აყენებდა მის კეთილმეზობლურ განზრახვებს:

ბია კონკოუსაშვილი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი: „ახალციხეში სომეხმა სეპარატისტებმა პოლიციელები სცემეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს და შსს მინისტრი ბოდიშობს გამოეუფლებო... მალე მიწასაც წაგვართმევენ ჩვენი ვითომ კეთილი მეზობლები“ (აღი, 9-15 ოქტომბერი).

ნაღიბიანი ნიშნით დისკრიმინაციის დიდი წილი ისლამოფობიაზე (14)
მოდის და ძირითადად მიგრანტებს და ბათუმში მეჩეთის მშენებლობას უკავშირდებოდა:

შოთა აუხაიძე, კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი: „ჩვენ არ გვინდა, რომ საქართველო იყოს სექსტურ-რიზმის ქვეყანა, რომ აქ იყოს საბავშვო პორნოგრაფია, პედოფილია, პროსტიტუცია, კონტრაბანდა და არ მინდა, რომ აქაურობა რადიკალი მუსლიმანების, ანუ ტერორისტების ბუდე იქცეს!“ (აღი, 24-30 ივლისი).

გულბათ ნახიძე, ავღანური ინსტიტუტი: „ბათუმის სტუმრებს, რომლებსაც მეჩეთში ლოცვა სურთ, კეთილი და პატიოსანი, ილოცონ. თუკი ისინი ვერ ეტყვიან ერთ მეჩეთში... კიდევ არის ასეთი მხიარული რუსული გამონათქვამი: „თავი იგრძენი ისე, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ სტუმარი ხარ!“ (საქართველო და მსოფლიო, 16 მარტი).

სიძუვილის ანა სხვა მოტივით. ძირითადად ხდებოდა ინდივიდუალური შუღლის გაღვივება და ძალადობისკენ მოწოდება, მათ შორის ლიბერალების მიმართ:

შოთა აუხაიძე, კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრი: „გთავაზობთ თამაშს: „მიესალმე ლიბერალს!“ თამაშის აზრი მდგომარეობს შემდეგში, ნებისმიერ შემხვედრ ლიბერალს უახლოვდებით, უღიმიით და მუშტს დაუნდობლად ურტყამთ ყბაში, სასურველია, დარტყმა იმდენად ძლიერი იყოს, რომ ყბა მოტყდეს, ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ თქვენ სრული სალამი მიაგებეთ მას. თუკი დარტყმა მხოლოდ ტვინის შერყევას ან დროებით გონების დაკარგვას იწვევს, სალამი არასრულია და თქვენ კიდევ ერთი შანსი გეძლევათ სრული სალამისთვის. აბა თქვენ იცით!“ (ასავალ-დასავალი, 28 აგვისტო – 3 სექტემბერი).

ჩანჩი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან შავკანიანთა მიმართ 2 რასისტული კომენტარი გაკეთდა:

მანაა შათინიშვილი, ანალიზალური ცენტრი: „ახლა გურიაში ვიყავი და ცხოვრებაში არ ვიფიქრებდი, თუ სოფელში ზანგის გოგოს დავინახავდი... კატასტროფისკენ მიდის ქვეყანა, აბა, სად მიდის?“ (აღი, 12-18 ივნისი).

3.4 სასულიერო პირები

გამოიკვეთა 4 სასულიერო პირი, რომელიც მონიტორინგის სუბიექტ მედიაში ყველაზე მეტად გამოირჩეოდა სიძულვილის ენით. მათგან 3 საქართველოს საპატრიარქოს წარმოადგენს, ბასილ მკალავიშვილი კი განკვეთილია საპატრიარქოს მიერ:

სასულიერო პირი	სიძულვილის ანა
დავით ქვლივიძე	11
გიორგი რაზმაძე	6
დავით ისაკაძე	4
ბასილ მკალავიშვილი	4

კომოზობია. სასულიერო პირებმა ყველაზე მეტი ჰომოფობიური (24) კომენტარი გააკეთეს, რა დროსაც ჰომო-მოსექსუალობა დასავლეთის თავსმოხვეულ სოდომ-გომორის ცოდვად ცხადდებოდა, რომელიც ხელს არ უწყობდა „ტრადიციული აფხაზეთისა და ოსეთის“ რეინტეგრაციის პროცესს. ისმოდა ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებისა და ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობის მოწოდებები:

გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი: „ან რა საერთო ღირებულებები შეიძლება გვქონდეს სოდომ-გომორის ბუდესთან, სატანის მიერ შექმნილ ევროკავშირთან ქრისტესთან 16 საუკუნის განმავლობაში სისხლდათხეულ რუსთაველის, აღმაშენებლის, თევდორე ბერის, ილია მართლის მართლმადიდებელ საქართველოს?!“ (ასავალ-დასავალი, 28 აგვისტო – 3 სექტემბერი).

დავით ქვლივიძე, სასულიერო პირი: „რომ იძახიან [საქართველოს ხელისუფლება], მთავარი მიზანი და ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენააო, საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ტრადიციული აფხაზების ან ოსების რეაქცია, როცა ამ სოდომ-გომორულ ცოდვაში ჩაძირული ადამიანების ორგანებს ნახავენ?!“ (საქართველო და მსოფლიო, 29 მარტი).

მალჩისაძე დიკონიძე, მკვლევარი: „ხალხი უნდა აჯანყდეს, გამოვიდეს ქუჩაში, ტრანსპარანტებით კი არა, ცხვირ-პირი უნდა მიუღეწოს ყველას, ვინც ამ გეიპროპაგანდას უწყობს ხელს. უარესი კატასტროფა კი ის არის, რომ გადაედლებულია ხალხი შიშისგან. დედალი, ცვედანი საზოგადოება შეგვრჩა ხელში“.

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. ისევე როგორც სხვა წყაროების შემთხვევაში, რელიგიური შეუწყნარებლობა სასულიერო პირების მხრიდან მეტწილად მუსლიმების მიმართ იყო გამოხატული, თუმცა ნეგატიურ კონტექსტში იეჰოვას მოწმეები და სექტანტებიც ფიგურირებდნენ:

დავით ქვლივიძე, დეკანოზი: „თურქეთი მეჩეთს მეჩეთზე რომ ითხოვს და ბათუმი, ფაქტობრივად, საკუთარ ტერიტორიად აქვს გამოცხადებული, თურმე არაფერია, მთავარი ის ყოფილა, რომ ეკლესიაში „რუსული დესანტია“ ... რა „დესანტზე“ და რუსულ ძალებზე ლაპარაკობენ, გარეთ ვერ გამოხვალ წესიერად და აღმაშენებლის გამზირი თბილისია, თურქეთი თუ ირანი, ვერ მიხვდები“ (საქართველო და მსოფლიო, 16 აგვისტო).

მამა ბასილ მკალავიშვილი: „იელოველთა სექტის წარმომადგენელნი შემოესივნენ საქართველოს და ყოველგვარი მზაკვრული ხერხებით ცდილობენ, ამორალბიმი, გარყვნილება დანერგონ ერში და ასე „მომზადებული“ წაიყვანონ ევროპისკენ“ (საქართველო და მსოფლიო, 1 მარტი).

ქსენოფობია/თუნაქოფობია. ქსენოფობიური კომენტარები მეწტილად მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე და ისტორიული ტრავმის გაღვივებაზე იყო ფოკუსირებული. ისტორიულ ტრავმას სასულიერო პირები თურქეთის მიმართაც აღვივებდნენ:

გიორგი ჩაფაძე, სასულიერო პირი: „როგორ შეიძლება მორწმუნე იყოს ადამიანი, რომელმაც დააკანონა მიწის მიყიდვა უცხოელებისთვის და საუკეთესო სასოფლო–სამეურნეო მიწა არაბებსა და თურქებს მიჰყიდა სიმბოლურ ფასად?!... მეც ვსვამ შეკითხვას: როგორ შეიძლება მორწმუნე მართლმადიდებელი ქართველი თავისი ქვეყნის მიწას არაბებზე ყიდდეს?! ჩვენი წინაპრები, ალბათ, საფლავებში ტრიალებენ. ამაზრბენია ეს ყველაფერი და ამის გამო მათ, ადრე თუ გვიან, პასუხი მოეთხოვებათ“ (საქართველო და მსოფლიო, 10 აგვისტო).

ლავითი ქვიციქი, სასულიერო პირი: „სულ რაღაც ასიოდე წლის წინათ, თურქებმა საზღვარი ოზურგეთამდე გადმოწიეს, ახლაც ანალოგიური რამ მეორდება. არადა, დღეს ვიღაც გაიძახის, თურქები ჩვენი ისტორიული მეგობრები და მოკავშირეები არიანო. ჩვენი სისხლით იკვებებოდნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელ მეგობრობაზე საუბრობენ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს სამარცხვინო ლაპარაკი?!“ (საქართველო და მსოფლიო, 28 აპრილი).

3.5 საზოგადოება

საზოგადოება იმავე გზავნილებს გამოხატავდა, რომელთა ტირაჟირებას მედია და პოლიტიკური კლასი ახდენდა. საზოგადოების მხრიდან ყველაზე მეტი ქსენოფობიური კომენტარი გაკეთდა, რომელიც თავის მხრივ თურქოფობიას (81) და არმენოფობიას (27) მოიცავს. შემდეგ ადგილებზე ჰომოფობია (172), სიძულვილის ენა სხვადასხვა ნიშნით (42), რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (38) და რასიზმი (4).

საზოგადოების მხრიდან ყველაზე მეტი სიძულვილის ენის შემცველი კომენტარი ტვ „ობიექტივის“ მაყურებელმა (45) სატელეფონო ჩართვის ფორმატში გააკეთა, რომელსაც მოსდევს პოეტი რეზო ამაშუკელი (28). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ჰომოფობიური კომენტარებით გამოირჩეოდა. შემდეგ ადგილებზე არიან ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი (15), რომელიც 2017 წლიდან რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებული Sputnik–საქართველოს მიმომხილველია და 2017 წელს ანტიდასავლური კომენტარებითაც გამოირჩეოდა, ექსპერტი მამუკა არეშიძე და საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე.

წყარო	სიძულვილის ენა
ობიექტივის მაყურებელი	45
რეზო ამაშუკელი	28
მიხეილ ცაგარელი	15
მამუკა არეშიძე	12
გიორგი ანდრიაძე	11

ქსენოფონია. საზოგადოება მეტწილად მიგრანტების და მიწის უცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ იყო განწყობილი. „ობიექტივის“ მაცურებლის მხრიდან ტელევიზიის ეთერში მიგრანტთა მიმართ ძალადობისკენ მოწოდების და მათი დანაშაულთან დაკავშირების გზავნილებიც კი ისმოდა:

მაყრიბაძი. „მე გულზე ვსკდები ამ ჩალმიან ჩადრიანების სიარულით, კინალამ ამხელა ქალმა ხულიგნობა ჩავიდინო და დავცხო და დავარტყა, ნუ მიგვიყვანთ მაგ ზომამდე მთავრობა, გესმოდეთ თქვენ ეს, თორე მოხდება, სისხლისღვრა მოხდება. ხალხი იხოცებიან და არაბელებით და ინდოელებით გავავსოთ? მერე ეს ინდოელები, ტელევიზორში იყო შარშან რომ გარყვნილების დონეზე პირველ საფეხურზე არიან გაუპატიურებით მთელ მსოფლიოში. არაბები, თურქები, გვაკლია?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 8 ივლისი).

ერთ შემთხვევაში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ანტისემიტურ კომენტარსაც ვხვდებით:

ღენიო სუბაქაე, პროფესორი: „ეს არის ებრაელთა მცდელობა, მთლიანად ჩაენაცვლონ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ხალხს. ებრაელები თვითონ აცხადებენ საკუთრ თავს იბერიელებად. აკეთებენ ქართველების სისხლის ანალიზებს და აცხადებენ, რომ ქართული და ებრაული სისხლი ყველაზე ნათესაურია მსოფლიოში. რასაც ებრაელები აკეთებენ, ეს არის პოლიტიკური ვამპირიზმი, ანუ სხვის სხეულში ჩასახლება და ქართველი ერის სულიერი მისიის წართმევის მცდელობა“ (ასავალ-დასავალი, 10-16 ივლისი).

კომოფონია. საზოგადოების წარმომადგენლები ჰომოსექსუალური ურთიერთობების დანაშაულთან დაკავშირებას, ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვას და ლგბტ თემთან მიმართებით პუტინის მეთოდების იდეალიზებას ახდენდნენ:

კონსტანტინე კოვალიანი, იურიტი: „ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივ ზოოფილია, ინცესტი, ან ჯგუფური ქორწინებაც კი. ამიტომ, მხოლოდ და მხოლოდ ერთსქესიანთა ქორწინებას ნუ გავაიგივებთ აი ამ ინსტიტუტის ჩამოშლასთან“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ივნისი).

გიორგი ფოფხაძე, ჟურნალისტი: „სექსუალური ორიენტაციის კუთხით ადამიანების დევნა და დისკრიმინაცია არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ მკაცრად უნდა აიკრძალოს ნებისმიერი მათი პროპაგანდისტული გამოსვლა, აფიშირება და აგიტაცია, რადგან არ შეიძლება ერთი ჯგუფის ინტერესების დაცვის საბაბით მეორე ჯგუფის ინტერესები და უფლებები ირღვეოდეს“ (მარშალპრესი, 30 ნოემბერი).

მაყრიბაძი: „ბოდიში და წაღვეს ამ ცისფერებმა და მწვანეებმა და ჯანდაბისფერებმა ხალხი და ბავშვებს რას უკეთებენ კაცო. ჭკუიდან გადარიეს! ჭკუიდან გადარიეს! და ესენი გამოდიან რუსული ფაშიზმის საწინააღმდეგოდ? ვენაცვალე პუტინს იმ ამბავში, რომ თქვა სოროსი და ცისფერები არ იქნებიან რუსეთში“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 ივლისი).

სიკუდილის ენა სხვა ნიშნით. საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ყველაზე მაღალი სიძულვილის ენა „ნაციონალური მოძრაობის“ (17) მიმართ იყო, ასევე ადგილი ჰქონდა ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას და ძალადობისკენ მოწოდებას (16).

ჩალიკიანი ნიშნით დისკრიმინაციაშიც სხვა ჯგუფების მსგავსად ისლამოფობიაა დომინანტი (21), რომელსაც იეჰოვას მოწმეთა მიმართ შეუწყნარებლობა მოსდევს. ასევე ვხვდებით ანტისემიტიზმის ერთ შემთხვევას:

დენისა ზუბაძე, ფილოსოფოსი: „ეს სიონისტური მოძრაობა რა საკვირველია მიმართული არი ქრისტიანობის წინააღმდეგ, მართლმადიდებლობისა და ყველას წინააღმდეგ იმიტომ, რომ ე.ი. სიონიზმი რა არის? სიონიზმი ეს არის ერთი ერისა და დანარჩენი მსოფლიოს იდეოლოგია“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 ივნისი).

ჩასიზმი. 4 რასისტული კომენტარიდან 2 „ობიექტივის“ ეთერში ტელევიზიის მაყურებელმა გააჟღერა.

მაყურებელი: „აგერ ჩემი კარის მეზობელი, იმერელი ოჯახი ცხოვრობდა, გაყიდეს ეს ბინა და იყიდეს ვიღაც ტანზანიელმა თუ მოზამბიკელმა ზანგებმა, ეხლა მაბათიეთ და მე იმ იმერელის მეზობლობა რომ მირჩვენია, ამისთვის ვარ ფაშისტი და ქსენოფობი?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივლისი).

4. პროზიკა |

4.1 მედია

ასავალ-დასავალი

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1992 წლის 3 მარტს დაარსდა და ყოველ ორშაბათს გამოდის. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილია. MDF-ის 2016 წლის „სიძულვილის ენის“ ანგარიშის თანახმად, „ასავალ-დასავალი“ ყველაზე ჰომოფობიური გამოცემა იყო, სადაც ასევე ქსენოფობიურ განცხადებებსაც ვხვდებით.

ალია

გაზეთი „ალია“ „ალია-ჰოლდინგში“ შედის, რომელიც 1996 წელს დაარსდა. ჰოლდინგის 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი ბრეგვაძეა. გაზეთი ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს.

მარშალპრესი

ინტერნეტ-პორტალი „მარშალპრესი“ მედია სივრცეში 2015 წლის 18 თებერვალს გამოჩნდა. Marshallpress.ge-ს შპს მარშალპრეს.ჯი გამოსცემს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი 2015 წლის 6 მაისის მონაცემებით, „ინფო 9“-ის ყოფილი ჟურნალისტი ოთარ სტეფანიშვილი იყო. 2015 წლის 24 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი ოთარ სტეფანიშვილთან (49%) ერთად მფლობელთა შორის ლუკა ანთიძეც (51%) ფიგურირებს. გამოცემა სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკას ატარებს.

მედია-კავშირი „ობიექტივი“

მედია-კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომე-

ლიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. ტელეკომპანია თურქოფობიული, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში, MDF-ის კვლევაზე დაყრდნობით, ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, არ გააფორმოს ხელშეკრულება, არსებობის შემთხვევაში კი გააუქმოს კონტრაქტები ისეთ მედია საშუალებებთან, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ. ანგარიშში ამ კონტექსტში ტვ „ობიექტივიც“ მოხვდა.

„საქართველო და მსოფლიო“ (GEWORLD.GE)

გაზეთ და ინტერნეტ-პორტალ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსცემს შპს „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომლის 2009 წელს დაფუძნებას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი არის მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც 2014 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო ორდენით დააჯილდოვა. ბრძანების ტექსტში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ჭაჭია სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს თავმჯდომარეა და გამოსცემს ჟურნალს „ისტორიული მემკვიდრეობა“, ასევე გაზეთებს „ილორი“ და „საქართველო და მსოფლიო“. ისტორიული მემკვიდრეობის პარტნიორია ასევე პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ანტიდასავლური განწყობების გარდა, გამოცემა გამოირჩევა თურქოფობიით, რასისტული და ჰომოფობიური განცხადებებით.

საქინფორმი

საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ 100%-იანი წილის მფლობელი 2013 წლიდან გამოცემის რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. დამოუკიდებლობა.com-ის თანახმად, „საქინფორმის“ დომენი პრო-რუსული ორიენტაციის ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის, ტარას გაგნიძის სახელზეა რეგისტრირებული, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსაც“ ფლობს. „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად, საქინფორმიც გამოირჩევა სიძულვილის ენის გაღვივებით. თურქოფობიული შეფასებებში „საქინფორმი“ რუსეთის თურქეთის საპირწონედ წარმოჩენას და ყარსის ხელშეკრულებაზე დაუსაბუთებელ აპელირებას ახდენს.

4.2. პოლიტიკური პარტიები

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აპრილში გაემიჯნა. პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ 2008 წლის 19 მარტს დაფუძნდა. ბურჯანაძის ბლოკი 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტი გახდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი

ვერ გადალახა. ნინო ბურჯანაძე მეორე ქართველი პოლიტიკოსია, ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდე-ლის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. 2016 წლის არჩევნებზე ის უბლოკო სტატუსის ინიციატივით გამოვიდა, რაც კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთე-ბას ითვალისწინებდა. MDF-ის 2016 წლის მონიტორინგის შედეგად, პარტია ძირითადად ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა.

თავისუფალი საქართველო

„თავისუფალი საქართველო“ 2010 წელს შეიქმნა. მისი ლიდერი კახა კუკავაა, რომელიც მოსკოვში რუს პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე 2012 წელს ჩავიდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „პატ-რიოტა ალიანსის“ საარჩევნო ბლოკში იყო გაერთიანებული, ხოლო 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებ-ზე – ნინო ბურჯანაძის „გაერთიანებულ დემოკრატებთან“.

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1998 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდა. პარტიის თავმჯდომარეა თამაზ მეჭიაური, რომელიც 2012 წელს პარლამენტში კოალი-ცია „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კი დამოუკიდებლად, სა-კუთარი პარტიის სახელით მონაწილეობდა. წესდების მიხედვით, პარტიის ერთ-ერთი მიზანი ქართველი ერის გაერთიანება, ეროვნული მსოფლმხედველობის და ტრადიციების განმტკიცება და დაცვაა. 2017 წელს თამაზ მეჭიაური თიანეთის მერად აირჩიეს.

მეპარცხენე ალიანსი

მეპარცხენე ალიანსი 2013 წლის 5 ივნისს დარეგისტრირდა და მისი თანათავმჯდომარეები ლეიბორისტუ-ლი პარტიიდან გამიჯნული კახა ძაგანია და იოსებ შატბერაშვილი არიან. 2016 წლის საპარლამენტო არ-ჩევნებზე პარტიას ვაზისუბნის მაჟორიტარობის კანდიდატად Geworld.ge-ს (საქართველო და მსოფლიოს) ავტორი ბაკურ სვანიძე ჰყავდა წაყენებული.

მოძრაობა ეროვნულება

მოძრაობა „ეროვნულები“ 2016 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდა. წესდების მიხედვით, მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი მართლმადიდებლობის ღირებულებების დაცვა და განმტკიცებაა. მისი დამფუძნებლე-ბი ალექსანდრე (სანდრო) ბრეგაძე, კახაბერ მიგინეიშვილი და ზურაბ ენუქიძე არიან.

სანდრო ბრეგაძე 2014 წლის მაისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-დაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა; ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გახ-და. საჯარო პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის პროცესში ის ხშირად აკეთებდა ჰომოფობიურ განც-ხადებებს, რის გამოც სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრებმა პრემიერ-მინისტრს მისი გა-დაყენების მოთხოვნით ორჯერ მიმართეს. 2016 წლის თებერვალში სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან

გადადგა, რის მიზეზადაც ერთი სქესის პირთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით მისი ნეგატიური პოზიცია დაასახელა. 2017 წელს მან სხვა პირებთან ერთად ულტრანაციონალისტური მოძრაობა „ქართული მარში“ დააფუძნა.

საქართველოს კაშიროსთა ალიანსი

„პატრიოტთა ალიანსი“ 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ პირველად მოიპოვა საკრებულოებში წარმომადგენლობა (5,37%), ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ხმების 5,01%-ით – საკანონმდებლო ორგანოში მანდატები. პარტია საკუთარ თავს მემარჯვენე-კონსერვატიული მიმართულების იდეოლოგიას მიაკუთვნებს. „პატრიოტთა ალიანსის“ ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე, რომელიც ქართულად ხელმისაწვდომი არ არის, პარტიის ხედვასა და პროგრამაში პატრიოტიზმი განმარტებულია, როგორც ეროვნულ სულთან შესაბამისობაში მოქმედება, რაც მათივე განმარტებით, ქართულ სულს გულისხმობს. ქართული სულის ტოლერანტობა, პატრიოტთა ხედვის თანახმად, სხვა ერებისგან ყველაფერი კარგის მიმღებლობისთვის მზაობას გულისხმობს, თუმცა, ამავე დროს, ხაზი ესმება მშობლიური ქართულის უპირატესობას. ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე პარტიას დეკლარირებული აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი და გამოთქმული აქვს სკეპტიციზმი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით. პარტია ტვ „ობიექტივთან“ არის დაკავშირებული და აღნიშნული მედია საშუალების მსგავსად, თურქოფობიითა და ჰომოფობიით გამოირჩევა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარტიის ლიდერები ხშირად სტუმრობენ მოსკოვს და ნატო-საქართველო-რუსეთის ახალი ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდიან.

ქართული დასი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“ 2008 წელს არის დარეგისტრირებული. მისი ლიდერი ჯონდი ბალათურია სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებში მიგრირებდა.

ქართული იდეა

2014 წლის 16 დეკემბერს, ახალი პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ დაარსების შესახებ პარტიის თავმჯდომარე ლევან ჩაჩუაძე „რია-ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ლევან ჩაჩუაძე მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი იყო და 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიაში“ ექსტრემისტული ქმედებების გამო დააკავეს, როდესაც ის და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებთან ერთად პირდაპირ ეთერში სტუდიაში შეიჭრა, სადაც ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. 2012 წელს ახლადარჩეულმა პარლამენტმა ლევან ჩაჩუაძე პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. 2013 წელს ის საპრემიერენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. „ქართული იდეის“ ფეისბუქ გვერდზე, სექციაში „ჩვენს შესახებ“ გაერთიანებას ერთ-ერთ მიზნად ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება აქვს მითითებული.

ქართული ოცნება

„ქართული ოცნება“ 2012 წლის თებერვალში ქართველმა მილიარდერმა – ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა და დააფინანსა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა 54%-ით გაიმარჯვა, საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, რითაც ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პირველი პრეცედენტი შეიქმნა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია, რომელიც 6 სუბიექტისგან შედგებოდა, დაიშალა, ხოლო პარტიამ არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. საპარლამენტო უმრავლესობაში „ქართული ოცნების“ გარდა, ამჟამად ისევ შედიან მრეწველები, კონსერვატორები, მწვანეები, სოციალ-დემოკრატები და ფრაქცია „რეგიონული განვითარებისთვის“. კოალიციაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ.

ჩვენი სამშობლო

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამშობლო“ საჯარო რეესტრში 2015 წლის 5 ოქტომბერს არის დარეგისტრირებული. მისი ხელმძღვანელია ზვიად ჩიტიშვილი, ხოლო სიძულვილის ენის მონიტორინგში აღნიშნული პარტიის წარმომადგენლებიდან განცხადებებს გაა კორკოტაშვილი აკეთებდა, რომელიც ამავდროულად „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორიც არის. გიორგი კორკოტაშვილი „ევრაზიის ინსტიტუტის“ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობდა და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მხარდასაჭერი განცხადებებით გამოირჩეოდა.

4.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ 2017 წელს არის რეგისტრირებული. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეა გურამ ფალავანდიშვილი, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო. ფალავანდიშვილი ექსტრემისტული ქმედებების გამო რამდენჯერმე იყო დაკავებული: 2013 წლის 4 დეკემბერს ხანუკას დღესასწაულზე პლაკატების ჩამოხვევისა და ტრიბუნის დაზიანების გამო, ხოლო 2018 წლის 8 მარტს – ტრანსგენდერების აქციაზე მათთვის კვერცხების სროლის გამო.

სახალხო პრეზა

„სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოსთან“ დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ის 2006 წელს დაფუძნდა. ორგანიზაცია გამოირჩევა ანტიდასავლური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური რიტორიკით.

უფლებადამცველთა გაერთიანება

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ საჯარო რეესტრში 2012 წლის 2 აგვისტოს დარეგისტრირდა. გაერთიანების ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჭავანაცხეა.

ქართული მარში

ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფის „ქართული მარშის“ გამოჩენა 2017 წლის ზაფხულში არალეგალი მიგრანტების საწინააღმდეგო აქციას უკავშირდება. მარშის ორგანიზატორები არალეგალებში კონკრეტული ეროვნების წარმომადგენლებს – ირანელებს, არაბებს, აფრიკელებს და სხვებს გულისხმობენ და მათ საქართველოს ტერიტორიების დატოვებისკენ მოუწოდებენ. ისინი ასევე სამიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვენ. „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „ეროვნულების“ ლიდერი და „ქართული ოცნების“ ყოფილი მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძეა.

